



შავი ზღვის წყალშემკრები აუზის დაკვირვების და შეფასების სისტემის შესაძლებლობების გაკლიერება მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად

ენვირობრიდს @ შავი ზღვის წყალშემკრები აუზი

კოორდინატორი: დოქტორი ენტონი ლემანი
მენეჯერი: დოქტორი ნიკოლას რეი


ხანგრძლიობა 4 წელი: აპრილი 2009 – მარტი 2013
დაფინანსებული ევროკომისიის მიერ FP7

27 პარტნიორი ორგანიზაცია: UNIGE & UNEP შვეიცარია; ARXIT შვეიცარია; AZBOS უკრაინა; BSC თურქეთი; BSREC ბულგარეთი; CCSS ჩეხეთის რესპუბლიკა; CERN შვეიცარია; CRS4 იტალია; DDNI რუმინეთი; DHMO უკრაინა; EAWAG შვეიცარია; GeoGraphic საქართველო; IBSS უკრაინა; ICPDR ავსტრია; IGAR რუმინეთი; IHE პოლანდია; ITU თურქეთი; NIHWI რუმინეთი; ONU უკრაინა; SPBSU რუსეთის ფედერაცია; TNU უკრაინა; UAB ესპანეთი; USRIEP უკრაინა; UTCN რუმინეთი; VITUKI უნგრეთი; SORESMA ბელგია; NIMH ბულგარეთი.

პროექტის საფუძველი

საერთაშორისო დონეზე, შავი ზღვის წყალშემკრები აუზი ცნობილია ეკოლოგიურად არამდგრადი განვითარებითა და რესურსების არაადეკვატური მართვით, რამაც გამოიწვია სერიოზული გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. სწორედ აღნიშნულ საკითხებსა და პრობლემებს ეხება პროექტი “ენვირობრიდს @ შავი ზღვის წყალშემკრები აუზი”, რომელიც გვთავაზობს სხვადასხვა ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც ძირითადად შეეცდის იმ წარმოდგენებს, რომლებიც გამოიყენება ჩვენი პლანეტის შესწავლისას. დედამიწის სადამკვირვებლო სისტემათა სისტემა (GEOSS) ჩვენი პლანეტის შესახებ მონაცემების გამოყენებით ქმნის ისეთ ხედვას, რომელიც სხვადასხვა მოდელისა და სცენარების გამოყენებით საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ პლანეტის წარსული, აწმყო და მომავალი. ენვირობრიდს-ის მიზანია მეცნიერთა შესაძლებლობების გაძლიერებით შემუშავდეს ამგვარი სისტემა შავი ზღვის წყალშემკრები აუზისათვის; გადაწყვეტილების მიმღები პირების შესაძლებლობების გაზრდა, რათა გამოიყენონ აღნიშნული სისტემები გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში; ასევე, ფართო საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდა, რათა უკეთესად იყოს გააცნობიერებული საზოგადოების მიერ მის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი სპექტრი გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხებისა.





დიდი საერთაშორისო მონაცემთა ბაზები

ენვირობრიდს-ს მიზანია, შესაძლებლობების გაზრდის გზით შავი ზღვის რეგიონში, ახალი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გადაცემის, ანალიზის, ვიზუალიზაციისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების საკითხებთან დაკავშირებით, ამ რეგიონის წარსული, აწმყო და მომავალი მდგომარეობების ასახვად, რათა შეფასდეს რეგიონის მდგრადობა და მოწვევადობა. ამ მიზნის მისაღწევად, ენვირობრიდს-ი შექმნის ბრიდ-ის სისტემებზე დაფუძნებულ სივრცულ მონაცემთა ინფრასტრუქტურას (GSDI), რომელიც გახდება დედამიწის სადამკვირვებლო სისტემათა სისტემის (GEOSS) ინტეგრალური ნაწილი, თავისუფალი ევროკავშირის წევრების სივრცული მონაცემთა ინფრასტრუქტურის ახალ ღირებულებასთან (INSPIRE) და შეჯერებული გაეროს შესაბამის (UNSDI) ინიციატივებთან.

პროექტის “ენვირობრიდს @ მავი ზღვის წყალშემკრები აუზი” სამეცნიერო მიზანია დაიწყოს სადამკვირვებლო სისტემის შექმნა, რომელიც მიმართული იქნება GEO-ს რამდენიმე სოციალური სარგებლის სფეროსადმი, კლიმატის ცვლილების კვლევის ჩარჩოებში. სადამკვირვებლო სისტემა აგრეთვე მოიცავს ურთიერთსარგებლობის ინფორმაციულ სისტემასაც, რომელიც იმოქმედებს სამეცნიერო/ტექნიკურ პარტნიორებს, დაინტერესებულ მხარეებისა და ფართო საზოგადოებას შორის გამავალ ზღვარზე. აღნიშნული სისტემა ასევე მოიცავს წინასწარი შეტყობინების სისტემასაც, რომელსაც შეეძლება წინასწარ აცნობოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და ფართო საზოგადოებას ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობის საფრთხის, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ზელშეუხებლობის და მთლიანობის დარღვევის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა თუ ენერგიის მიწოდების მდგომარეობის შესახებ, გამოწვეული კლიმატის, დემოგრაფიული და მიწის დაფარულობის ცვლილებებით, შეფასებული შემდგომი 50 წლის პერიოდისათვის.

ძირითადი შედეგები

- არსებული რეგიონალური სადამკვირვებლო სისტემების ნაკლოვანებათა ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები რეგიონსა თუ ქვეყნებში მონაცემთა შეგროვების ქსელის გასაუმჯობესებლად,
- სადამკვირვებლო სისტემაში აქტიურ პარტნიორობა ძალისხმევის კოორდინაციით რეგიონალური ქსელის გაუმჯობესება,
- შეიქმნება სივრცული მონაცემთა ინფრასტრუქტურა მონაცემთა შეგროვების, შენახვის, მართვის უზრუნველსაყოფად და ძირითადი გარემოსდაცვითი მონაცემების გასავრცელებლად,
- სენსორული და თანამგზავრიდან მიღებული მონაცემების რეალურ დროში ზელმისაწვდომობა,
- მიწის დაფარულობის, კლიმატის და დემოგრაფიის მნიშვნელოვანი ცვლილებების სივრცულად დამუშავებული სცენარები,
- **ბრიდ**-ის სისტემებზე დაფუძნებული სივრცული მონაცემთა ინფრასტრუქტურა დიდი მოცულობის გათვლებისა და მონაცემთათვის,
- სოციალური სარგებლის მდგრადობისა და მოწყვლადობის მაჩვენებელი ინდიკატორების გათვლების სისტემები,
- რეგიონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე წინასწარი გაფრთხილებისა და გადაწყვეტილების მხარდაჭერი ინსტრუმენტები,
- შესაძლებლობების განვითარება სივრცული მონაცემების ინფრასტრუქტურების (SDI) ახალი თანამედროვე სისტემების (INSPIRE, GEOSS, UNSDI...) გამოყენების და დანერგვის მიმართულებით.